„პრესა არის ჩვენი პარტიის ყველაზე ბასრი და ყველაზე ძლიერი იარაღი“
(სტალინი)

მუშა-გლეხკორებო, გვიჩვენეთ ახალი ტექნიკის ათვისებისა და მაღალი მოსავლისათვის ბრძოლის ნამდვილი ვიკური ნიმუშები

წელიწადი მეცამეტე

ბრძოლებისაკენ მშვილა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. და თბილ. კომიტეტების და საქ. მაკის ორგანო

ტელეფონები ზაზ: რედაქტორის—14—78, რედ. მოვალეების—22—17, საქმეთა მ. 10—56, მთ. კანტორის—3—31.

პარასკევი,
5
მაისი
1933 წ.
№ 102 (3658)

სოციალისტური შეჯიბრება
ტყიბული-ჭიათურა-ალავერდი

საკავშირო კომპ. (ბ) ცეკასა და საკავშირო სახკომსაბჭოს 8 აპრილის დიდი ისტორიული მნიშვნელობის—და ეს არა მარტო ქვანახშირის მრეწველობისათვის, არამედ მრეწველობის სხვა დარგებისათვისაც — დადგენილება დაემთხვა იმ მომენტს, როდესაც საქართველოს სამთამადნო მრეწველობაც (ქვანახშირი, მარგანეცი, ბარიტი) ჩავარდნილია ღრმა გარღვევებში. ალარ გავიმეორებთ აქ დღეს ჩვენს მიერ ამ უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში არა ერთხელ მოყვანილ ციფრებს, რომლებიც ახასიათებენ პირველი კვარტალის გეგმების შეუსრულებლობას და ვიტყვით მხოლოდ ერთხელ კიდევ ხაზგასმით, რომ ხსენებული დადგენილება მთლიანად შეეხება ჩვენი სამთამადნო მრეწველობის მდგომარეობას და შეიცავს პრაქტიკულ ღონისძიებებს, რომლებიც ერთნაირად მიეუდგება როგორც დონბასს, ისე ტყიბულს და ჭიათურას. ამიტომაც გასაგებია ის ცხოველი გამოხმაურება, რომელიც ჰპოვა პარტიისა და მთავრობის დადგენილებამ კერძოდ ტყიბულში და ჭიათურაში. ის დაწვრილებით იქნა დამუშავებული ტყიბულში და აქვე დაიბადა აზრი სოციალისტური შეჯიბრების ფარგლებში გამოყენებისა, სოციალისტური შეჯიბრება ჭიათურისა და ალავერდის გამოწვევისა. ჩვენ უკვე გამოვაქვეყნეთ ტყიბულის მაღაროების სამკუთხედის ბიძართვა ჭიათურელებისა და ალავერდელებისადმი ვალდებულებების აღნიშვნით, რომლებიც აიღეს თავზე ტყიბულელებმა, ისევე როგორც ტყიბულის მაღაროების აქტივის წევრთა ამხ. ბერიასადმი—ორი დოკუმენტი, რომლებიც ბევრს ავალებს ტყიბულელ ამხანაგებს. მეორე მხრით არჩეულია დელეგაცია ჭიათურაში წასასვლელად იქ კონკრეტულ ვალდებულებათა შემუშავების მიზნით, რომლებიც საფუძვლად დაედება ჭიათურელების ბრძოლას.

ჭიათურელ და ალავერდელ ამხანაგებისადმი ტყიბულელ ამხანაგების მიმართვაში ჩვენ ვკითხულობთ: „რაიონული და ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით ჩვენ მტკიცედ მოვკიდეთ ხელი ამ დადგენილების (ცეკას და სახკომსაბჭოს 8 აპრილის დადგენილება) ცხოვრებაში გატარების საქმეს და გადავწყვიტეთ უმოკლეს ვადაში მივაღწიოთ ძირითად გარდატეხას ნახშირის ამოღებაში, ავაწყოთ მთელი ჩვენი მუშაობა 9 აპრილის დადგენილების საფუძველზე და ამგვარად უზრუნველვყოთ 1933 წლის საწარმოო-საფინანსო გეგმის რიცხობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების შესრულება. ხოლო მაღაროების პარტიული, კომკავშირული და პროფესიონალური აქტივი ამხ. ბერიას სწერს: „...ჩვენ არ გვინდა გვეკრას მომავალში ჩამორჩენილთა სამარცხვინო სახელი... ბოლშევიკურ პირობას გაძლევთ შენ ამხ. ლავრენტი, რომ ტყიბულის მაღაროების ბოლშევიკები და მუშა დამკვრელები შევასრულებთ ამ დაპირებას და პარტიისა და მთავრობის მოწოდებას, რომ ვიმუშაოთ უკეთესად, ვუპასუხებთ სოცშეჯიბრებისა და დამკვრელობის გაშლით. პარტმასიური მუშაობის, შემდგომი გაუმჯობესებით და ქვანახშირის ახალ-ახალი ტონებით“.

მთავრობის მოწოდებას ვუპასუხებთ ქვანახშირის ახალ-ახალი ტონებით—ეს არის ბოლშევიკური სიტყვა.

„ბოლშევიკის სიტყვა—სერიოზული სიტყვაა. ბოლშევიკებს სჩვევიათ შეასრულონ დაპირება, რომელსაც იძლევიან“ (სტალინი). ტყიბულელი ამხანაგებიც შესძლებენ ამას თუ ისინი სერიოზულად, რეალურად მიმართავენ „იმ ძირითად წყაროს სიძნელეთა დასაძლევად“, რომელსაც წარმოადგენს სოციალისტური შეჯიბრება და დამკვრელობა. სოციალისტური შეჯიბრება, რომელიც დაიწყო ტყიბულსა და ჭიათურაში (და მალე გავრცელდება ალავერდზეც) შეიძლება შეიქნეს მაღაროელების გამოჯანსაღების ბასრი იარაღად. მაგრამ შესაძლებლობა ყოველთვის არ ნიშნავს რეალობას; სოცშეჯიბრება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიქნება რეალური, ეფექტიური, როდესაც ის იქნება მოწყობილი, როდესაც ის იქნება განთავისუფლებული ოპორტუნისტული თვითმდინარების ყოველგვარი ელემენტებისაგან, იქნება წარმართული მტკიცე და მუდმივი ხელმძღვანელობით, მოკლებული უშინაარსო დეკლარატიულობას და უსულგულო ფორმალობას, როდესაც ის საქმიანად და ყოველდღიურად იწარმოებს და აქტიურად ჩაიყოლიებს თავის ფენებში ფართო მასებს და არა მხოლოდ რჩეულებს და დამკვრელებს, როდესაც ამნაირად მოწყობილი ის მოედება რაიონებს, მაღაროებს, ლავებს, სანგრეებს. ბრიგადებს, ცვლებს და ცვლებში თითო მუშას, როდესაც გაზეთები აქტიურად დაეხმარებიან მას და ადგილობრივ ხელმძღვანელ ორგანიზაციებთან ერთად გამოვლენ მის ორგანიზატორებად.

„სოციალისტური შეჯიბრება არის სოციალიზმის მშენებლობის კომუნისტური მეთოდი. მშრომელთა მილიონებიან მასების მაქსიმალური აქტივობის საფუძველზე“ (სტალინი). არავის არ აქვს უფლება აქციოს ის სიცალიერედ, ხელშეკრულებათა და გამოწვევების ფორმალურ და უსულო გადასროლა-გადმოსროლაც. რომლებსაც არ მოყვება ცოცხალი საქმე. გაგზავნო ან მიიღო გამოწვევა, წარმოსთქვა რამოდენიმე ათეული ლამაზი სიტყვა და ამით დაკმაყოფილდე—ეს იმას ნიშნავს, რომ ეხელი გაუტეხო სოცშეჯიბრების იდეას. გაზეთები, რომლებიც მოწოდებულნი არიან იყვნენ სოცშეჯიბრების ორგანიზატორები, საქმით მისი ჩამხშობნი არიან, თუ ისინი კმაყოფილდებიან გამოწვევათა და ხელშეკრულებათა რეგისტრაციით“ („პრავდა“).

სოცშეჯიბრებასთან ერთად სანგრევებში და როგორც მისი შემადგენელი ნაწილი უნდა მიმდინარეობდეს მთელი ადმინისტრატიულ-პროდ ქავშირული და პარტიული მუშაობის გადახალისება 8 აპრილის დადგენილების საფუძველზე. მაღაროების მმართველობის სისტემის რეორგანიზაცია, საუკეთესო ორგანიზატორებისა და ინჟენერ-ტეხნიკური ძალების გადასროლა სამმართველო აპარატიდან ადგილებზე, ხელფასის გათანაბრების მოსპობა, მუშათა დეგადობის მოსპობა, მათი დამაგრება მაღაროებზე და ამ მიზნით სათანადო ყოფაცხოვრებითი პირობების შექმნა—ყოველივე ამას უნდა შეეხოს ჩვენი სამთამადნო მრეწველობის მუშაობის გადამხალისებელი მაგარი ხელი.

ამხ. კაგანოვიჩი მიმართავდა რა ამას წინად „შავ ოქროს“ გმირებს, დონბასის დამკვრელებს მოუწოდებდა მათ, რომ გამოვიდენ მუშაობის ორგანიზატორებად და გაიყოლიონ ისინი, ვინც ჩამორჩენილი არიან“. ეს არის ერთი უმთავრეს პირობათაგანი გამარჯვების, რადგან ვინ არიან ისინი, ვისი ცუდი მუშაობა ძირს ყრის ნახშირის ამოღებაში, მრუდეს და ხელს უწყობს... გარღვევების გეგმების შესრულების საქმეში? ესენი არიან ჩამორჩენილი მუშები, რომელნიც ვერ დაუფლებიან ჯერ კიდევ ტეხნიკას, რომლებიც არ გამხდარან ჯერ კიდევ ქვანახშირის დამკვრელებათ სულაც რომ არ ვილაპარაკოთ გამცდენებზე და ფრენიებზე. ეი ამ ჩამორჩენილთა მიმართ უდიდესია ის როლი, რომელიც უნდა ითამაშონ მოწინავეებმა, ჩვენმა იზოტოვებმა და ბუშკენაძეებმა. და ალსანიშნავია აქ ის, რომ მარტო იმაში კი არ არის უდიდესი მნიშვნელობა ამხ. ნიკიტა ჟოტოვის მუშაობის სტილის, რომ ის მთლიანად დაეუფლა ქვანახშირის ამოღების ტეხნიკას და გმირულად ასრულებს თავის გეგმებს, არამედ იმაში, რომ ის თავის გამოცდილებას უზიარებს სხვა მგრეველებს, პრაქტიკულად ასწავლის სულ ახალ და ახალ ფენებს, თავისი მუშაობის წესებს. ჩვენ უნდა გამოვსძებნოთ იზოტოვები და არა მარტო გამოვნახოთ ისინი, არამედ დავაგალოთ მათ გადასცენ ჩამორჩენილებს თავიანთი მუშაობის წესები, შეექმნან მათგან ქვანახშირის ისეთივე გმირები, როგორიც თვითონ არიან. ჩვენ უნდა ვაქციოთ ყველა მემაღაროელი იზოტოვებად და ბუშკენაძეებად. ტყიბულელმა იზოტოვმა, არსენა ბუშკენაძემ უნდა განავითაროს ამ მხრივაც იგივე აქტიობა, რომელიც გამოიჩინა დონბასის გმირმა და სოცშეჯიბრებაში გამოიწვიოს ჭიათურის და ალავერდის ისეთივე დამკვრელები როგორც ის (ასეთები უეჭველად იქნებიან, ისინი უნდა გამოსძებნოთ ყველგან) და დაიდოს მათთან სოცშეჯიბრების იმავე ხასიათის ხელშეკრულება თავიანთი გამოცდილების ჩამორჩენილთათვის გადაცემაზე, როგორიც საზეიმოთ შეჰკრეს ურთიერთშორის ნიკიტა და ივანე იზოტოვებმა დონბასის დამკვრელთა კონფერენციაზე.

ჩვენს სამთამადნო მრეწველობაში დაწუებული სოცშეჯიბრებიდან მთელით არა მარტო გეგმების რიცხვობრივ შესრულებას. არამედ მისი ხარისხობრივი მაჩვენებლების გადიდებას, არსებულ ტეხნიკურ მოწყობილებათა უკეთესად გამოყენებას, მათ მასიურ ათვისებას.

გარღვევები ტყიბულში და ჭიათურაში, დაწყებული სოცშეჯიბრება გარკვეულ როლს აკისრებს ჩვენს პრესას, კერძოდ ჩვენი სამთამადნო მრეწველობის რაიონების გაზეთების დამკვრელ მუშკორებს, ჩვენი ადგილობრივი გაზეთები უნდა გამოვიდნენ სოცშეჯიბრების აქტიურ დამხმარეებად და ორგანიზატორებად. სოცშეჯიბრება ტყიბულსა და ჭიათურას შორის გულისხმობს სოცშეჯიბრებას კერძოდ „ტყიბულის მაღაროელი“-ს და „ჭიათურის მაღაროელი“-ს შორის. ის დასკვნები, რომელიც ჩვენ გამოგვყავს ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში მოთავსებულ „ტყიბულის მაღაროელი“-ს მიმოხილვაში, ავალებს ტყიბულის გაზეთის რედაქციიდან მიაღწიონ სულ ახლო ხანში გადაშენებულ გარდატეხას თავის მუშაობაში.

მოვაწყოთ დაწყებული სოცშეჯიბრება, მტკიცედ, სისტემატიურად და ოპერატიულად ვუხელმძღვანელოთ მას, გავატაროთ ჩვენს მაღაროებში საკ. კომპ. (ბ) ცეკას და სახკ. სახკომსაბჭოს 8 აპრილის ისტორიული დადგენილება მთელი მუშაობის ურყევი გარდაქმნით ამ დადგენილების საფუძველზე, მივაღწიოთ გეგმების რიცხვობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებს, მივსცეთ ჩვენს წარმოებებს მათთვის ასე აუცილებელი „შავი ოქრო“.

ლენინი საბჭოთა პრესის შესახებ
წერილის—„საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები“ პირველი შავი

(სტენოგრაფიული ჩანაწერი).

პრესა უნდა გადაიქცეს შრომის კომუნის ორგანოდ იმ აზრით, რომ გააზმაუროს სწორედ ის, რის დამალვასაც ცდილობდენ მასებისაგან კაპიტალისტური საწარმოების ხელმძღვანელები. კაპიტალისტისათვის მისი საწარმოს შინაგანი ორგანიზაცია წარმოადგენდა ისეთ რაღაცას, რომელიც კომერციული საიდუმლოებით იყო დაფარული გარეშე ხალხის თვალისაგან,—ისეთ რაღაცას, ხადაც, თითქოს, სურდათ ყოფილიყვნენ ყოვლის შემძლენი და ერთმთავრები, დაცული არა მარტო კრიტიკისაგან, არა მარტო სხვისი ჩარევისაგან, არამედ გარეშე პირთა თვალისგანაც. პირველებს თავიანთი მუშაობის წესები, შექმნან მათგან ქვანახშირის ისეთივე გმირები, როგორიც თვითონ არიან. ჩვენ უნდა ვაქციოთ ყველა მემაღაროელი იზოტოვებად და ბუშკენაძეებად. ტყიბულელმა იზოტოვმა, არსენა ბუშკენაძემ უნდა განავითაროს ამ მხრივაც იგივე აქტიობა, რომელიც გამოიჩინა დონბასის გმირმა და სოცშეჯიბრებაში გამოიწვიოს ჭიათურის და ალავერდის ისეთივე დამკვრელები როგორც ის (ასეთები უეჭველად იქნებიან, ისინი უნდა გამოსძებნოთ ყველგან) და დაიდოს მათთან სოცშეჯიბრების იმავე ხასიათის ხელშეკრულება თავიანთი გამოცდილების ჩამორჩენილთათვის გადაცემაზე, როგორიც საზეიმოთ შეჰკრეს ურთიერთშორის ნიკიტა და ივანე იზოტოვებმა დონბასის დამკვრელთა კონფერენციაზე.

ჩვენს სამთამადნო მრეწველობაში დაწუებული სოცშეჯიბრებიდან მთელით არა მარტო გეგმების რიცხვობრივ შესრულებას. არამედ მისი ხარისხობრივი მაჩვენებლების გადიდებას, არსებულ ტეხნიკურ მოწყობილებათა უკეთესად გამოყენებას, მათ მასიურ ათვისებას.

გარღვევები ტყიბულში და ჭიათურაში, დაწყებული სოცშეჯიბრება გარკვეულ როლს აკისრებს ჩვენს პრესას, კერძოდ ჩვენი სამთამადნო მრეწველობის რაიონების გაზეთების დამკვრელ მუშკორებს, ჩვენი ადგილობრივი გაზეთები უნდა გამოვიდნენ სოცშეჯიბრების აქტიურ დამხმარეებად და ორგანიზატორებად. სოცშეჯიბრება ტყიბულსა და ჭიათურას შორის გულისხმობს სოცშეჯიბრებას კერძოდ „ტყიბულის მაღაროელი“-ს და „ჭიათურის მაღაროელი“-ს შორის. ის დასკვნები, რომელიც ჩვენ გამოგვყავს ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში მოთავსებულ „ტყიბულის მაღაროელი“-ს მიმოხილვაში, ავალებს ტყიბულის გაზეთის რედაქციიდან მიაღწიონ სულ ახლო ხანში გადაშენებულ გარდატეხას თავის მუშაობაში.

მოვაწყოთ დაწყებული სოცშეჯიბრება, მტკიცედ, სისტემატიურად და ოპერატიულად ვუხელმძღვანელოთ მას, გავატაროთ ჩვენს მაღაროებში საკ. კომპ. (ბ) ცეკას და სახკ. სახკომსაბჭოს 8 აპრილის ისტორიული დადგენილება მთელი მუშაობის ურყევი გარდაქმნით ამ დადგენილების საფუძველზე, მივაღწიოთ გეგმების რიცხვობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებს, მივსცეთ ჩვენს წარმოებებს მათთვის ასე აუცილებელი „შავი ოქრო“.

გაუმარჯოს „პრავდა“-ს

საბჭოთა კავშირის პრესის დღე, რომელსაც ჩვენ ვდღესასწაულობთ ყოველი წლის 5 მაისს, დაკავშირებულია მსოფლიოში პირველი ბოლშევიკური ყოველდღიური გაზეთის, ჩვენი პარტიის ცენტრალური ორგანოს „პრავდა“-ს გამოსვლასთან.

„პრავდა“-ს წარმოშობა ლენინგრადში ეკუთვნის ჯერ კიდევ იმ პერიოდს, როცა პროლეტარიატის რევოლიუციურმა შეტევამ, მისმა მასიურმა ბრძოლამ აიძულეს მეფის მთავრობა 1912 წელს ნებადაერთო გამოგვეყენებია მაშინდელი დროის ნახევრად ლეგალური შესაძლებლობანი და გამოგვეცა რევოლიუციური მუშათა გაზეთი, რომელიც თუმცა არაოფიციალურად, მაგრამ ფაქტიურად წარმოადგენდა ბოლშევიკების ცეკას ცენტრალურ ორგანოს.

მეფის მთავრობა ძალიან ხშირად ახდენდა „პრავდა“-ს კონფისკაციას, ხურავდა მას და ავატიმრებდა მის თანამშრომლებს. გაზეთი იცვლიდა სახელწოდებას და ამიტომაც განაგრძობდა არსებობას განსაკუთრებით ძნელ პირობებში. მისი გმირული ბრძოლა — ეს არის პროლეტარიატის ბრძოლა თავისი ლეგალური ბეჭდვითი ორგანოს არსებობისათვის.

ჩვენი ქვეყნის მუშები ფულად-რეგულიარული მასიური შეგროვებით (400-ზე მეტი) სისტემატიურად უწევდენ დახმარებას „პრავდა“-ს. მხოლოდ ამის მეოხებით შეეძლო მას არსებობა. ამავე დროს გამოდიოდა ლეგალური მენშევიკური გაზეთი, მაგრამ იგი ღებულობდა ფულად დახმარებას, უმთავრესად წვრილბურჟუაზიული ელემენტებისაგან.

„პრავდა“-ს იდეური ხელმძღვანელი იყო ლენინი. გაზეთს უდიდესი ავტორიტეტი ჰქონდა მუშათა მასებში. მსოფლიო ომის ცოტა ხნით ადრე, 1914 წლის 8 ივლისს გაზეთი საბოლოოდ დახურეს 1917 წლის რევოლიუციამდე, როცა იგი კვლავ გამოვიდა 1917 წლის 5 მარტს.

კერენსკის ბატონობის პერიოდში „პრავდა“-ს როგორც ბოლშევიკური ორგანოს, რომელიც მოუწოდებდა მასებს პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებისაკენ, კვლავ დაუწყეს დევნა და დახურეს იგი. 1917 წლის „ივლისის დღეებში“ „პრავდა“-ს რედაქცია დაარბიეს იუნკრებმა“. „პრავდა“ კვლავ იძულებული გახდა გამოეცვალა სახელწოდება.

ლენინი და სტალინი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდენ „პრავდა“-ს რედაქტორობაში.

მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ შეძლო „პრავდა“-მ კვლავ მიეღო თავისი პირვანდელი სახელწოდება. 1918 წლიდან იგი ლენინგრადიდან გადატანილ იქნა მოსკოვში.

ბოლშევიკური პრესის დღეს ჩვენ მხურვალე კომუნისტურ სალამს ვუგზავნით პარტიის ცენტრალურ ორგანოს, წითელი პრესის სახელოვან მედროშეს, მარქსისტულ ლენინური მოძღვრების სიწმინდის სამებდო დამცველს, ნაღ და ურყევ მებრძოლს პარტიის გენერალური ხაზისათვის, კლასობრივი მტრის და მისი აგენტუოის — ყველა ჯურის ოპორტუნისტების დაუნდობელ გამომამჟღავნებელს, მუშათა და კოლმეურნეთა მილიონიანი მასების ნავდვილ მესაიდუმლეს და მათი ინტერესების დამცველს; გაუმარჯოს „პრავდა“-ს!

ბოლშევიკური გეჭდვითი სიტყვის დღე

5 მაისი ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის დღეა.

პირველი ხუთწლედის მსოფლიო ისტორიულ მნიშვნელობის ამოცანათა განხორციელებაში ბეჭდვითმა სიტყვამ განსაკუთრებული როლი ითამაშა. ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვა როგორც კოლექტიური პროპაგანდისტი, კოლექტიური აგიტატორი და ორგანიზატორი რაზმავდა მშრომელთა ფართო მასებს პარტიის გენერალურ ხაზის ირგვლივ, პირველი ხუთწლედის საბრძოლო ამოცანების განსახორციელებლად. ბეჭდვითი სიტყვა წარმოადგენდა უმნიშვნელოვანეს იარაღს სოციალისტურ გამარჯვებათა ორგანიზატორის—კომუნისტური პარტიის ხელში კლასობრივი მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში, მშრომელთა მასებთან დასაკავშირებლად და მათი სოციალისტური ამოცანის განსახორციელებლად. ბეჭდვითი სიტყვა სოციალიზმის მშენებელთა მილიონებს სიმტკიცისა და გამარჯვების რწმენას, წინააღმდეგ კულაკების, ყველა ჯურის მავნებლების, კონტრ-რევოლიუციონური ტროცკისტების, წინააღმდეგ მემარჯვენე ოპორტუნისტების, „მემარცხენე“ გამრუდებლების და მათ დამი შემარიგებლებისა.

პირველმა ხუთწლედმა შოგვცა თვით ბეჭდვითი სიტყვის უჩვეულო ზრდა. ბეჭდვითი სიტყვა გახდა ხელმისაწვდომი მანამდე მივიწუებულ, ცარიზმის მიერ დამონებულ მრავალ ათეულ მცირე ერთათვის. გაიზარდა ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოები. მაგ. 1932 წელს საბჭოთა კავშირში გამოდიოდა 6.775 გაზეთი 38 მილიონ 800 ათასი ყოველდღიური ტირაჟით. შეიქმნა არა მარტო დიდი ცენტრალური ყოველდღიური გაზეთები, (როგორც მაგ. „პრავდა“—1.600 ათასი ტირაჟით) არამედ ძალზე გაიზარდა ძირეული პრესის ჭრელიც, ფაბრიკა-ქარხნების, მაღაროების, ტრანსპორტის, სამანქანო-სატრაქტორო სადგურების და საბჭოთა მეურნეობების მრავალტირაჟიანი გაზეთები, ჩამოყალიბდა რაიონული გაზეთები, საკოლმეურნეო გაზეთები, გაფართოვდა კედლის გაზეთები—ხელნაწერი და ნაბეჭდი, გაიზარდა მუშკორთა არმია—ჩვენი სოციალისტური მშენებლობის ეს ფხიზელი თვალი. ყოველივე ამას თან სდევდა პოლიგრაფიული ბაზის სწრაფი განვითარება, საკუთარი ქაღალდის მრეწველობის და რთულ საბეჭდი მანქანების, და სტამბის სხვა მოწყობილობის წარმოების ზრდა. პირველ ხუთწლედში ჩვენ შევქმენით ყველა პირობები იმისათვის, რათა პოლიგრაფიული მრეწველობის წარმოების მხრივაც სავსებით დამოუკიდებელი გავხდეთ კაპიტალისტურ მსოფლიოსაგან.

მეორე ხუთწლედი ახალ, უდიდეს მნიშვნელობის ამოცანებს აყენებს ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის წინაშე. მთავარია მეორე ხუთწლედში ბრძოლა ხარისხისათვის, ახალი ტეხნიკის ათვისებისათვის, ბრძოლა თვითღირებულების შემცირების, შრომის ნაყოფიერების ზრდისა და მოსავლიანობის გადიდებისათვის. ეს კი მოითხოვს ქალაქად და სოფლად მშრომელთა მასების სოციალისტური შეგნების დონის ამაღლებას, კლასობრივი მტრების ქურდული მახინაციების დამსხვრევას, კულაკებისა და მისი დამქაშების გაძევებას საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობებიდან, შრომის უკეთ მოწესრიგებას და ამ საფუძველზე კოლმეურნეობათა სამეურნეო, ორგანიზაციულ და პოლიტიკურ განმტკიცებას.

პირველ ხუთწლედში ბოლშევიკურმა ბეჭდვითმა სიტყვამ უდიდესი გამარჯვებები მოიპოვა თავისი მჭიდრო კავშირის მეოხებით მშრომელთა ფართო მასებთან, ფაბრიკებსა, ქარხნებსა და სოციალისტურ მინდვრებზე გამომახების, სოციალისტური შეჯიბრების და მასიური რეიდების მოწყობით, ჩამორჩენილთათვის დახმარების გაწევით და მოწინავეთა წახალისებით და დაფასებით, საწარმოო გეგმების შესრულებისათვის ბოლშევიკური ბრძოლის საუკეთესო ნიმუშების გავრცელებით. ხოლო ეს შესაძლებელი იყო პირველ რიგში თვით ბეჭდვითი სიტყვის დარგში, მის მუშაკთა შორის შრომის სოციალისტური ფორმების ენერგიული დანერგვით.

ლენინური „პრავდა“ გვაძლევდა და გვაძლევს სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტებზე ნამდვილი ბოლშევიკური ბრძოლის მაგალითებს, სოციალისტურ გამარჯვებათა მოპოვებისათვის მასების დარაზმვის და მათი ხელმძღვანელობისა და აღზრდის მისაბამ გამოცდილებას, ბეჭდვითი სიტყვის დარგის მუშაკთა და კერძოთ მუშკორკრებთა ფართო მასებში მუშაობის ახალი ფორმებს. ჩვენს მორიგ ამოცანას წარმოადგენს ყოველმხრივად შევისწავლოთ, გადმოვიღოთ და ადგილობრივ პირობებს შეუფარდოთ ლენინური „პრავდა“-ს ბრძოლის ყველა საუკეთესო ნიმუშები. უნდა ვისწავლოთ ლენინური „პრავდასა“-გან წამოწუებული საქმის ბოლომდე მიყვანა, დასახული ამოცანების თანმიმდევრად და მტკიცედ განხორციელება. უნდა შევეიძინოთ მუშაობაში მეტი ოპერატიულობა, მეტი კონკრეტულობა, მეტი ყურადღების მიქცევა წვრილმანებისადმი, მასების ხადგილი საჭიროებისადმი ჩაწვდენა, სოციალისტური მშენებლობის ყველა ხელისშემშლელ პირობების დროზე გამომკვლევნება, შესწავლა და გაწმენდა.

განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ამოცანები ისმება დღეს ბეჭდვითი სიტყვის და გლეხკორების წინაშე სოფლად. ჩრდილოეთ კავკასიის, უკრაინის, ბორჩალოს, სირიანის და სხვა რაიონების გასული წლის მაგალითები გვავალებს ამ მხრივ ჩვენ ბევრ რაიმეს. საჭიროა მეტი კლასობრივი სიფხიზლე, კლასობრივი მტრის ბრძოლის ახალი ტაქტიკის დროზე მხილება სამანქანო-სატრაქტორო სადგურების და საბჭოთა მეურნეობების პოლიტგანყოფილებებთან ერთად სოფლის მთელმა ძირეულმა პრესამ უნდა გაშალოს ბრძოლა კლასობრივი მტრების წინააღმდეგობის დასამხრევად, ყველა კოლეეურნეობების გადასაქცევად ბოლშევიკურ კოლმეურნეობებად, პატიოსანი საკოლმეურნეო შრომის ღალანერგავად, საკოლმეურნეო აქტივთან მუშაობის მოსავლიანებად კოლმეურნეობებიდან ზარმაცების და წამგლეჯების გასაძევებლად, მოსავლიანობის გადაჭრით გასადიდებლად და ყველა კოლმეურნეების გადასაქცევად შეძლებულებად.

ოქტომბრის წარმატებით და დროზე შესრულება, ნათესების წესიერი დამუშავება, ფაბრიკა-ქარხნებიდან სოციალისტური შეჯიბრების დადამკვრელობის გადატანა სოციალისტურ მინდვრებზე—პრესის გადაუდებელი ამოცანებია.

უნდა გავაძლიეროთ მასიური მუშაობა მუშკორკორთა შორის, გავაუმჯობესოთ ძირეული საფაბრიკო-საქარხნო და განსაკუთრებით საკოლმეურნეო პრესის მომსახურება, განვამტკიცოთ პირველ რიგში ძირეული პრესა ბოლშევიკური კადრებით, ფართოდ გავშალოთ შრომის სოციალისტური ფორმები პრესის მუშაკთა შორის, მეტი ანგარიში გაუწიოთ მუშკორკორთა და ცალკე მუშების, მუშა-ქალების და კოლმეურნეების შენიშვნებს, რაც შეიძლება ფართოდ გავშალოთ ბოლშევიკური თვითკრიტიკა, გავაზარდოთ პარტკომკავშირული ბირთვი მუშკორკორთა მობრაობაში და ყოველივე ამის მეოხებით კიდევ უფრო მკიდროთ დავრაზმოთ ქალაქისა და სოფლის მშრომელთა მასები პარტიის გენერალური ხაზის ირგვლივ.

მეორე ხუთწლედში დასმულ დიად ამოცანათა განხორციელება მოითხოვს პარტიის რიგების მეტ სიმტკიცეს, რკინისებურ პროლეტარულ დისციპლინას, რისთვისაც აუცილებელია პარტიის გაწმენდა ყველა მატმასილ, ნაკლებად საიმედო და მერყევ ელემენტებისაგან და მეორეს მხრივ პარტიის წევრთა მარქსისტულ-ლენინური აღზრდის გაძლიერება. პარტიის წევრების იდეური ურყევობა. ჩვენმა პრესამ ამ მხრივ უდიდესი როლი უნდა ითამაშოს.

გავაცამტვერთ კლასობრივი მტრის ნაშთები, ავხსნათ მშრომელთა მასების პოლიტიკური მომზადების დონე, დაუნდობლად დავამსხვრიოთ კონტრ-რევოლიუციონური ტროცკისტების და მემარჯვენე ოპორტუნისტების წინააღმდეგობა და პარტიის ხელმძღვანელობით ამხ. სტალინის მეთაურობით გავსწიოთ წინ მეორე ბოლშევიკურ ხუთწლედის გრანდიოზულ პროგრამის წარმატებით, შესასრულებლად, უკლასო სოციალისტური საზოგადოების აგების ხუთწლედის დიად ამოცანათა განსახორციელებლად.

აბაშისა და სამტრედიის რაიონებმა დაუყოვნებლივ
უნდა გამოასწოროს სამარცხვინო ჩამორჩენა საგაზაფხულო თესვაში

ელვა

ბაქოა ზერბეიჯანის კ. პ. (ბ) ცეკა—ამხ. რუბენს სახკომსაბჭო—ამხ. ბაგიროვს

ბამბის თესვის მიმდინარეობაში არსებულ იმ დეფექტების გარდა, რომლებიც აღნიშნულია თქვენს 25 აპრილის დადგენილებაში, უჯარის, ლიაკის, საბირ-აბადის, სალიანის, განჯის, სამუხის, კაზახის, ქიურდამირის და აღდაშის რაიონების შემოწმებამ გამოარკვია, რომ ადგილი აქვს **სავალდებულო აგროწესების** შემდეგ უხეშ დარღვევას:

1. საგაზაფხულო არატის ჩატარების, მისი დამუშავების და თესვის ვადები დაშორებულია ერთმანეთისაგან, რაც იწვევს არატის გამოშრობას.

2. არატი ტარდება ძალიან ბელტიან მინდვრებზე, რაც აძნელებს არატის შემდეგ დამუშავებას და თესვას.

3. გაჭიანურებულია საზამთრო არატის ფართობებზე თესვის ვადები, რის შედეგადაც ალაგ-ალაგ თესლი აღმოჩნდა მშრალ მიწაში.

4. საგაზაფხულო არატის მინდვრები არ იფარცხება თავის დროზე.

5. ალაგ-ალაგ საგაზაფხულო არატი ტარდება დანაგვიანებულ მინდვრებზე.

6. დასამუშავებელი იარაღის არასწორად დადგმა იძლევა ღრმა კვლებს მიწის ზემოთ, რაც იწვევს ფესლის არათანაბარად განაწილებას.

7. საგრძნობლად დაცილებულია ერთმანეთს გადახვნა და შემდგომი ფარცხვა, რაც იწვევს მინდვრების დაბელტიანებას, გამოშრობას და შეუძლებელად ხდის სწორად თესვას.

8. ალაგ-ალაგ დანაგვიანებულ მინდვრებს კოლმეურნეობები და ერთპიროვნული მეურნეები ამუშავებენ „ხიშით“, რაც აბსოლუტურად დაუშვებელია.

9. აქა-იქ თესლის დანამება სწარმოებს სავსე ტომრებში.

10. ყველა მინდვრებზე არ სწარმოებს მცენარეთა ფესვების ამოღება.

11. ადგილი აქვს ისეთ შემთხვევებს, როცა თესვა სწარმოებს საზიაროდ.

12. მიწის იმ ნაკვეთებზე, სადაც შესაძლებელია მორწყვის ჩატარება კვლების მიხედვით, თესვა სწარმოებს ისე, რომ არ არის გათვალისწინებული მორწყვის მომრათულება.

13. ის გარემოება, რომ სათეს მანქანებზე არ იდგმება სწორად სათესლე ყუთები იწვევს ხარვეზების თესვას და საგრძნობლად ამცირებს გამოთესვის ნორმას, რაც განსაკუთრებით საშიშია თესლის შემცირებულად ამოსვლის გამო.

ამასთან ერთად ადგილი აქვს ისეთ შემთხვევებს, როცა თესვა სწარმოებს ღია მისაფარებლებით, რაც იწვევს თესლის განიავებას.

14. თესლის ჩაყრის სიღრმე მერყეობს 0-დან 12 სანტიმეტრამდე, ნაცვლად 4-7 სანტიმეტრისა.

სასწრაფოდ უზრუნველვყვათ ად გილებზე დღის განმავლობაში ჩატარებული მუშაობის ყოველდღიური ხარისხობრივი შემოწმება და მისი მიღება ბრიგადებისაგან შემმოწმებელი კომისიების მიერ, დეფექტების გზადაგზა გამოსწორებით. იმ შემთხვევებში, როცა მოსალოდნელია სათესის არ ამოსვლა, დაუყოვნებლივ უნდა ჩატარდეს საჭირო ღონისძიებანი, როგორიცაა: ხელახლად დათესვა. დამატებით მორწყვა და სხვ., ამასთან უნდა სწარმოებდეს დიფერენცირებული მიდგომა ცალკე უბნებისადმი. მოგვაწოდეთ ცნობები თქვენ მიერ მიღებულ ზომების შესახებ. 4 მაისი 1933 წ.

საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის მდივანი—ბერია.

დათესილი იყო საქართველოში

1932 წლ. 1-ლ მაისისათვის	1933 წ. 1-ლი მაისისათვის
ს ი ღ ნ ა ღ ი ს რ ა ი ო ნ ი	
176.091 ჰექტ.	211.296 ჰექტ.
ზ უ გ დ ი დ ი ს რ ა ი ო ნ ი	
6.050 ჰექტ.	20.313 ჰექტ.
ბ ო რ ჩ ა ლ ო ს რ ა ი ო ნ ი	
736 ჰექტ.	3499 ჰექტ.
**ბ ო რ ჩ ა ლ ო ს რ ა ი ო

„ჩვენ მივაღწიეთ იმ პერიოდს, როცა ერთ-ერთ ძირითად ბერკეტად სოფლად ჩვენი საალმშენებლო ორგანიზაციების საქმეში, ჩვენი დეფექტების გამოსწორების საქმეში, მასობრივი პარტიული და საბჭოთა წოდებრივი ორგანიზაციების საქმეში, მაშასადამე, საბჭოთა მუშათა ფრონტის გაძლიერების საქმეში შეიძლება გახდნენ მუშკორები და სოფლკორები" (სტალინი)

მაღლა ავსწიოთ მუშგლეხკორთა მოძრაობის დროშა

ამხ. სტალინმა ცეკას საანგარიშო მოხსენებაში პარტიის მე-12 ყრილობაზე მუშგლეხკორთა ორგანიზაციებს უწოდა „საზოგადოებრივი ინიციატივის თავისუფალი ორგანიზაციები". მან მუშგლეხკორებს უწოდა ყველაზე პროლეტარული საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომელიც ფართო მასებს აერთიანებს და ამხილა ოპორტუნისტების ცდები, მუშგლეხკორები ჩამოაშორონ პარტიას.

ამ სტალინის ანალიზმა ცხადყო, რომ მუშგლეხკორების ორგანიზაციის ფორმალური გაერთიანება, ან მისი ლიკვიდაცია, ან ორგანიზაციის ფორმალური გაძლიერება, ან ორგანიზაციის ფორმალური გაფართოება, ან ორგანიზაციის ფორმალური გაღრმავება, ან ორგანიზაციის ფორმალური გაუმჯობესება, ან ორგანიზაციის ფორმალური გაჯანსაღება, ან ორგანიზაციის ფორმალური გაწმენდა

პარასკევი, 5 მარტი 1933 წ. № 102 (3658) კომუნისტი

სოც-შეჯიბრება: დონბასი—ბაქო—ტყიბული—ჰიათურა—ალავერდი.

გადავცეთ მღვიძარეთა გამოცდილება ჩამორჩენილებს

ვიმუშაოთ ისე, როგორც მუშაობს იგოჭოვი

როგორ ვმუშაობ

ამხ. ნიკიტა იზოტოვის წერილი

მე-10 წელიწადია ვმუშაობ მნგრეველად დონბასის ერთ-ერთ უდიდეს მაღაროში—გორლოვკის მაღაროში № 1.

რამდენიმე წლის განმავლობაში გადაჭარბებით ვასრულებ ყველა გეგმებს და დავალებებს. ამჟამად ყოველ დღე ნორმის 400—500 პროცენტს ვიძლევი.

მაღაროებში ძალზე დაჭანებული ფენებით, როგორიცაა ჩვენი მაღარო, მნგრეველის მუშაობა განისაზღვრება გაკეთებული სამაგრების რიცხვით. ცვლაში ნორმაა ერთი სამაგრი. მნგრეველები აკეთებენ 1-2 სამაგრს. მე დღეში ვაკეთებ 3-4-5 სამაგრს. ზოშუალოდ გამოდის ოთხი სამაგრი. სამაგრის გაკეთება ნიშნავს: გამოთხრა 3 კუბიკური მეტრი ქვანახშირი და გაამაგრო სახურავი. ერთი სამაგრის ფართობი იძლევა 7 ვაგონეტკა ქვანახშირს, ე. ი. 5 ტონას. მე საშუალოდ დღეში ვთხრი 12 კუბიკურ მეტრს—ვიძლევი 20 ტონა ქვანახშირს. ამხანაგები ხუმრობით მეძახიან „სათხრელ მანქანას".

რადგან ნორმას დიდათ ვაჭარბებ, ხელფასიც დიდი მაქვს. ჩვენთან მნგრეველის განაკვეთია 130 მანეთი. მე კი გაცილებით მეტს ვაკეთებ. მაგალითად, იანვარში გავაკეთე 741 მანეთი, თებერვალში—615, მარტში —840, ხოლო აპრილის ნახევარში—500 მანეთი.

ამბობენ: „იზოტოვი ლონიერია, იზოტოვი მაგარია, ამიტომ მუშაობს ასე კარგად"-ო. სისულელეა! საქმე ლონეში როდია. მარტო ლონით ვერაფერს გააწყობ. ჩვენს მაღაროში ჩემზე ძლიერი მუშები მოიპოვებიან. მაგალითად, მნგრეველი ოკუნევი, ძლიერი, ჯანსაღი, აკეთებს ერთ სამაგრს. მაღაროს ეზოში ჩამოკიდული იყო მისი კარიკატურა—„მძიმე ატლეტი", რომელიც არ ასრულებს გეგმასო. იყო ჩვენთან აგრეთვე დაიდენკო—მოჭიდავეს არ ჩამოუვარდებოდა, მაგრამ გამომუშავებაზე ეს დიდ გავლენას არ ახდენდა.

არა, მარტო ლონით ქვანახშირს ვერ მოერევი!

ბევრი ფიქრობს, რომ ტეხნიკას უნდა დაეუფლოს მხოლოდ ის, ვინც მანქანაზე რუშაობს. ეს შემცდარი შეხედულებაა. ის, რაც ამბ. სტალინმა სთქვა ტეხნიკის შესახებ გვეხება ჩვენც, ხელით მომუშავე მნგრეველებსაც. ტრაბახობად ნუ ვაინ ჩამომართმევს თუ ვიტყვი: მე დიდ გამომუშავებას ვიძლევი იმიტომ, რომ დავეუფლე ტეხნიკას.

როგორ ვმუშაობ?

მე ვცდილობ შეუფარდო ჩემი მუშაობა ქვანახშირს. როცა მივდივარ სათხრელად, პირველ ყოვლისა ვათვალიერებ ჩემს სამუშაო ადგილს, ვარკვევ, როგორ უნდა მივუდგე ქვანახშირს, რომ მუშაობამ მეტი ნაყოფი გამოიღოს.

ზოგჯერ ქვანახშირი დაყოლებულია ძარღვებად, ზოგჯერ კი ფენებად. პირველ შემთხვევაში მე ვჭკეპავ ხერელს ზევიდან და ქვევიდან. ქვანახშირის ფენა გამოიზიდება და უფრო ადვილი ხდება მისი ჩამომტვრევა.

თუ ქვანახშირი დაყოლებულია ფენებად, მაშინ მე ავარჩევ ყველაზე უფრო რბილ ფენას; მას ჩვენ უწოდებთ ნაკრიანს, წაგავს ქვაკრტლს და ადვილად იმტვრევა. მთავარია იცოდე სად უნდა დაარტყა. ბევრი, განსაკუთრებით ახალი მუშა, ფიქრობს, რომ მთელი საქმე მაგრად დარტყმაშია. ჩვენ, ძველმა მნგრეველებმა კი ვიცით, რომ მთავარია **სად, რომელ** ადგილას დაარტყამ,

როგორ გააკეთებ ხერელს, რომ შემდეგ ქვანახშირი მთელი ფენებით ვარდებოდეს ძირს.

ბევრი ფიქრობს, რომ გამოზნექილ ადგილას ქვანახშირის ჩამომტვრევა უნდა დავიწყოთ ქვევიდან, იქ, სადაც ქვანახშირი დაკიდებულია. შემდეგ ისინი იწყებენ ქვანახშირის ჩამომტვრევას ზევიდან. ეს არ არის სწორი. რასაკვირველია, დაკიდებული ქვანახშირის ქვევიდან ჩამომტვრევა აღვილია, მაგრამ, იწყებს რა ქვევიდან, მნგრეველი იღლება, სანამ მიაღწევდეს ყველაზე უფრო ძნელ ზედა ნაწილს. მე სულ სხვანაირად ვიქცევი. როცა მივდივარ სამუშაოზე შეუდგები ყველაზე უფრო ძნელი ზედა ნაწილის ჩამომტვრევას, ხოლო შემდეგ ქვედა ნაწილზე აღარ მჭირდება ძალღონის დიდათ დაშვება.

მე ვასწრებ ბევრის გაკეთებას არა მარტო იმიტომ, რომ სწორად ვთხრი, ვამტვრევ, არამედ აგრეთვე იმიტომ, რომ სწრაფად ვაკეთებ სამაგრს. სხვებს სამაგრის გაკეთებაზე სჭირდება ერთი საათი, მე კი მხოლოდ ნახევარი საათი. რატომ?

როგორც ვიცით სამაგრის გასაკეთებლად იხმარება სპეციალურად მომზადებული ხე-ტყის მასალა: ბოჯგები და სხვ. ქვანახშირის ჩამომტვრევის (ჩამოთხრის) შემდეგ მნგრეველი ჩერეულებრივად თვალით ათვალიერებს საყრდენს. ამიტომ ხშირად იგი ან გრძელი აღმოჩნდება ან მოკლე. მაშინ საჭირო ხდება საყრდენის გადაკეთება. მე სულ სხვანაირად ვიქცევი. საყრდენის მომზადებამდე მე გაზომვის საშუალებით ვარკვევ საყრდენის სიგრძეს და მხოლოდ შემდეგ გამოვსჭრი მას. ეს იძლევა როგორც ხე-ტყის მასალის, ისე დროის ეკონომიას.

აგრეთვე „გეზენოკების" გათხრის დროს მე არ ვმუშაობ ისე, როგორც სხვები.,

„გეზენოკ"-ი არის ვერტიკალური ხერელი სიგრძით 2-3 საჟენი. იგი ზედა „შტრეკ"-ს აერთიანებს გამოზნექილ ადგილებთან, რომლებზედაც ჩვენ ვმუშაობთ. „გეზენოკ"-ში გადის ვენტილიაცია, შიგ უშვებენ ხე-ტყის მასალას, ხოლო გვერდით ორიბათ ჩადიან მუშები. ჩვენთან „გეზენოკ"-ის გათხრის დროს მუშაობენ ასე: ორი კაცი ორ ცვლაში სთხრის „გეზენოკ"-ს ორი საჟენის სიგრძეზე, ხოლო მესამე აკეთებს ორიბანს. ამას უნდება 18 საათი და 3 კაცის შრომა. მე კი „გეზენოკ"-საც და ორიბანსაც ვაკეთებ 6 საათში რანაირად?

მე ერთდაიმავე დროს ვთხრი „გეზენოკ"-ს და ვაკეთებ ორიბანს, ვაფართოებ მას, ამავარად მუშაობის ფრონტი უფრო ფართოვდება ქვანახშირის ჩამომტვრევაც უფრო ადვილი ხდება და მუშაობასაც მეტი გასაქანი აქვს.

ან როგორ ვმუშაობ. არავითარი „საიდუმლოება" აქ არ არის. თვითეულ მნგრეველს შეუძლია მიაღწიოს იმ წარმატებებს, რომლებსაც მე მივაღწიე. საჭიროა მხოლოდ ისწავლოს ქვანახშირისადმი მიდგომა და არ ურტყამდეს წალკატს უთავბოლოდ, როგორც ამას ბევრნი სჩადიან.

მე ვცდილობ სხვებსაც გადავცე მაღაროში მუშაობის გამოცდილება. მახსოვს, როცა პირველად დავიწყე მაღაროში მუშაობა მე არავინ მასწავლიდა. ძველი მნგრეველები, რომელნიც ხედავდენ ჩემს თავგამოდებას, დამცინოდენ: ბევრი ასეთი „გულმოდგინე" ახალგაზრდა იყო აქ, მაგრამ არაფერი გამოუვიდათო. მე მიზანს მივაღწიე. პირველ დღეებში 8-10 საათს ვმუშაობდი და როგორც იქნა ვისწავლე. ამჟამად დამწყები მუშის მდგომარეობა უკეთესია: მას ასწავლიან და, თუ სურვილი აქვს, მალე შეუძლია ისწავლოს. მაგრამ ჩვენ, ძველ მნგრეველებს ყოველთვის როდი გვისმენენ. ხედავ ახალგაზრდა არ ურტყამს სწორად, უხსნი მას, იგი კი თავისას განაგრძობს, თავის ძალებს ეყრდნობა, ხოლო ცოდნას არავითარ ყურადღებას არ აქცევს.

კიდევ ერთი რამ მინდა აღვნიშნო. ჩვენთან 6 საათის სამუშაო დღეა, მაგრამ ბევრი მნგრეველი ფაქტიურად მხოლოდ 3—4 საათს მუშაობს. როცა მივდივარ ადგილზე და ვხედავ, რომ ხე-ტყის მასალის ნაკლებობის გამო მოსალოდნელია სამუშაოს გაცდენა, მე ვამჯობინებ ნახევარი საათი მოვანდომო ხე-ტყის მასალის მოზიდვას, ვიდრე შემდეგ ერთი-ორი საათი უსაქმოდ ვიყვე და ვიგინებდე ხის მასალის გადამზიდავებს. მე ვცდილობ შევავსო, შევამჭიდროვო ჩემი სამუშაო დღე, უნაყოფოდ არ დავხარჯო დრო, რომელიც ძვირფასია როგორც ჩემთვის, ისე სახელმწიფოსთვის.

თუ ჩვენს მაღაროში და საერთოდ ყველა მაღაროებში თვითეული მნგრეველი სავსებით გამოიყენებს თავის სამუშაო დროს, იგი გაცილებით უფრო მეტს გააკეთებს, ვიდრე აკეთებს ეხლა და ჩვენი ქვეყანა დამატებით მიიღებს ძრავალ ათას ტონა ქვანახშირს.

„პრავდა".

პრესის მიმოხილვა

კოლმეურნეობების ძმური დახმარება მაღაროებს

„ტყიბულის მაღაროელი"— ტყიბული

ბევრი იცნობს ტყიბულის მაღარობაში ეზეკია გვენეტაძეს, ლენინის უბნის დამკვრელ ბრიგადირს. 10 წელია იგი ბრიგადას ხელმძღვანელობს, ხოლო 27 წელია მაღაროებში მუშაობს. ჩამორჩენა, შეუსრულებელი გეგმა, სამარცხვინო სახელი, რომელიც ბევრმა „დაიმსახურა" ტყიბულის მაღაროებში — აი რას არ იცნობდენ ეზ. გვენეტაძე და მისი ბრიგადის დამკვრელები. 1932 წ. 1 კვარტალი — გეგმა შესრულებულია, მეორე და მესამე კვარტალი — გეგმა შესრულებულია და მე-4 კვარტალის გეგმაც 112 პროცენტით შესრულდა. ასე, ქვანახშირის ტონებით უპასუხებს ეზ. გვენეტაძის ბრიგადა პარტიის და მთავრობის დავალებას.

ასე იყო 1933 წლამდე. 1933 წლის პირველ კვარტალში ქვანახშირის გამოღების მრუდე ბრიგადაში ქვევით დაუშვა. იანვარში —89, თებერვალში — 70, და მარტში — 85 პროცენტით.

რაშია საქმე, რატომ წამოვიდა ძირს მრუდე?—აი საკითხი, რომელზედაც ფიქრობდენ დამკვრელები გვენეტაძის ბრიგადიდან, ფიქრობდა თვითონ გვენეტაძე, მიზეზი, რამაც გამოიწვია ქვანახშირის გამოღების შემცირება, არის ის, რომ ბრიგადას მოაკლდა მუშახელი. ამაში ყველანი დარწმუნდენ, დარწმუნდა გვენეტაძეც და აი, 9 აპრილს რაიონულ გაზეთში მან აიღო სიტყვა. ბრიგადირი, რომელსაც ნამდვილად შესტკივა გული ჩამორჩენაზე სჩივის. ჩვენი ჩამორჩენა — ამბობს გვენეტაძე.

> **გამოწვეულია იმით, რომ გარეთა სამუშაოზე არ არის საკმაო მუშა - ხელი, ვერ გავაქვთ თავის დროზე ნახშირი; ჩვენ ხელი გვეშლება და გამგორების მოლოდინში ვართ. გარეთა სამუშაოს მუშა-ხელის ზრუნველყოფისათვის გადამჭრელი ზომებია საჭირო".**

იძლევა იგი წინადადებას: მაგრამ მარტო წინადადება არ კმარა, საჭიროა მოქმედება, საჭიროა მაგადიდის მიცემა დანარჩენებისათვის არა მარტო ქვანახშირის გამოღებაზე, არამედ მუშა - ხელის შეგროვების საქმეშიც. ეს იცის გვენეტაძემ, იციან დანარჩენებმაც. და დარწმუნებული ამაში, ლენინის უბნის

> **„სამეურნეო ანგარიშის ბრიგადები თვით აწარმოებენ მუშა-ხელის მოზიდვას".**

ოჯახის დანარჩენი წევრები, მეზობლები, ამხანაგები, რომელთაც ნამდვილად ესმით მაღაროს ჩამორჩენის ლიკვიდაციის მნიშვნელობა — აი რეზერვი, საიდანაც მოყავთ ბრიგადირებს და დამკვრელ მუშებს ახალი მუშები მაღაროებისათვის. პირველი მაგალითი ამ მიმართულებით თვითონ ეზ. გვენეტაძემ და მისმა ბრიგადამ უჩვენა; ამ ბრიგადის დამკვრელებმა პირველად მოიყვანეს ახალი მუშები.

> **„მუშა-ხელის ორგანიზაციულად მოზიდვის საქმეში ბრიგადის თვითეული წევრი იბრძვის; ი. გაბრიაძემ (პროფორგი) 5 მუშა მოიყვანა, ალ. გვენეტაძემ — 2 და მე პირადად კი 6. მოზიდული მუშახელი ჩვენ შევინარჩუნეთ და დღესაც ეწერგიულად მუშაობენ".**

გვიყვება გვენეტაძე „ტყიბულის მაღაროელი"-ს ფურცლებზე. ბრიგადირი გვენეტაძე, რომელიც მუშა - ხელს ასეთ დიდ ყურადღებას აქცევს სავსებით მართალია. **მუშახელი ამჟამად უმთავრესია ტყიბულისათვის,** შემდეგ კი, მოზიდული მუშა - ხელის შენარჩუნება, მუშათა ცვალებადობის აღმოფხვრაა უმთავრესი. მაღაროების ხელმძღვანელ მუშაკებთან ერთად, ეს კარგად უნდა გაიგონ და დაიმახსოვრონ ამხანაგებმა რაიონული გაზეთიდან, რომელიც სულ უკანასკნელ ხანებში ხუსტად ამუქებს მაღაროების მუშაობის საკითხებს.

***

დამკვრ. მუშა-მნგრეველი მელიტონ გაბაძე

მუშა - ხელის შეგროვებისათვის ბრძოლა არა მარტო მაღაროების მუშათა საქმეა, იგი სცილდება ამ ფარგლებს და მახლობელ სოფლებში და კოლმეურნეობებში გადადის. კოლმეურნეობები და კოლმეურნეები, რომელთათვისაც მეტად ძვირფასია ტყიბულის, ქვანახშირი და მაღაროელის საპატიო სახელი, პირველი უნდა შეეგებონ მოწოდებას ძმური დახმარების და მაღაროებისათვის მუშა-ხელის მოწოდების შესახებ.

ტყიბულის და მეზობელი რაიონების კოლმეურნეობებს საკმაო რაოდენობის მუშა - ხელი მოეპოვებათ და შეუძლიათ იგი მიაწოდონ მაღაროებს. ამაში დარწმუნებული არიან მოწინავე კოლმეურნეები, რომლებიც მხურვალედ და საქმით გამოეხმაურენ ტყიბულის პარტიული ორგანიზაციის მოწოდებას — ძმური დახმარება გაუწიონ მაღაროებს მუშა - ხელის მიწოდების საქმეში.

„ჩვენ გვესმის, თუ რას ნიშნავს ძმური დახმარება"

სწერენ სოფ. ციხია — ბობოთის კოლმეურნეები. ამ სოფელში

> **„მაღაროებზე ძმური დახმარების საკითხს კოლმეურნეებმა სათანადო შეფასება მისცეს და აიღეს ვალდებულება... მაღაროებს ყოველთვიურად მორიგეობით მიაწოდონ 30 მუშა. კოლმეურნეები ღრმად არიან დარწმუნებული მასში, რომ მუშა - ხელის მიწოდების ასეთი სისტემა დიდათ შეუწყობს ხელს, როგორც საწარმოო - სა ფინანსო გეგმების შესრულებას, ისე საკოლმეურნეო მშენებლობას და მის ორგანიზაციულ, პოლიტიკურ და ეკონომიურ განმტკიცებას".**

მოწინავე კოლმეურნეებმა ნამდვილად გადასწყვიტეს ძმური დახმარება გაუწიონ მაღაროებს და იქ სამუშოდ უკვე გაგზავნეს პირველი კოლმეურნეები. იმავე სოფ. ციხია, —ბობოთის კოლმეურნეობაში უკვე შეადგინეს და თვალსაჩინო ადგილზე გამოაკრეს ცხრილი, სადაც აღნიშნულია თუ ვინ როდის უნდა წავიდეს მაღაროებში სამუშოდ. ამ კოლმეურნეობის მოწინავე დამკვრელები, კომკავშრომელები **გ. უგრეხელიძე** და **ა. კასრაძე** რიგის მიხედვით პირველ აპრილს უკვე წავიდენ მაღაროებში სამუშოდ, და ამით მა გალითი მისცეს დანარჩენებს. ასევე მოიქცა სოფ. **დღნორისის** კოლმეურნეობა, **რომელმაც** ძმური დახმარების სახით მაღაროებს მისცა 71 საუკეთესო კოლმეურნე.

მაგრამ ასეთი მოწინავე კოლმეურნეები ჯერ-ჯერობით ცოტანი არიან; საჭიროა მათი მაგალითისათვის მიბაძვა ძმური დახმარების ტალღების აზვირთება კოლმეურნეობებში, ამ მიზნით მათ შორის სოციალისტური შეჯიბრების გაშლა. რაიონული გაზეთი კი, რომელიც მომხდარი ფაქტების რეგისტრაციით დაკმაყოფილდა, ვერ ჩაუდგა სათავეში ამ მოძრაობას და ვერ გადაიტანა იგი დანარჩენ კოლმეურნეობებში — ამაშია გაზეთის მუშაობის სუსტი მხარე.

უკანასკნელად, საკ. ჯ. პ. (ბ) ცეკას და საკ. სახკომსაბჭოს 8 აპრილის დადგენილებასთან დაკავშირებით, გაზეთს უნდა დაეყენებია მაღაროების მუშაობის კონკრეტული საკითხები და იქეთკენ მიექცია მუშათა ყურადღება; სინამდვილეში კი ეს ასე არ მოხდა. გაზეთის უკანასკნელ ნომერში, რომელიც 24 აპრილს გამოვიდა, ერთი სიტყვითაც კი არაა ნახსენები 8 აპრილის დადგენილება, რომელიც ტყიბულის მაღაროების სამოქმედო პროგრამას წარმოადგენს. მეტიც: გაზეთმა საჭიროდ არ დაინახა ამ დადგენილების გადაბეჭდვა, თუმცა მას ამის საშუალება ჰქონდა და აჭვს. ეს ნაკლი ახლავე უნდა გამოასწორონ ამხანაგებმა „ტყიბულის მაღაროელი"-დან.

„ტყიბულის მაღაროელის" შეუძლია ხსენებულ ჩამორჩენათა ლიკვიდაცია და მაღაროების მუშაობის გარდაქმნისათვის ნამდვილი და ყოველდღიური ბრძოლის გაშლა.

ტყიბული, ვაგონების დატვირთვა ქვანახშირით სტალინის უბანში.

ტყიბულელი იზოტოვი— არსენა ბეშკენაძე

„იზოტოვები მარტო დონბასში არ არიან, ისინი უნდა ვეძიოთ მრეწველობის თითეულ დარგში, თითეულ ფაბრიკაში, ქარხანაში, ნავთის სარეწაოზე, ყველგან არიან საუძეთესო დამკვრელები, თავისი საქმის ოსტატები, მაგრამ იზოტოვებისა ან ისინი იმით განსხვავდებიან, რომ ზოგჯერ არ შეუძლიათ თავისი გამოცდილება სხვებს გადასცენ, მათი გამოცდილება არაა გამოყენებული მთლიანად". „პრავდა"

მოხდენილად სწერდა „პრავდა": დონბასის ლეგენდარული მნგრეველის **ნიკიტა იზოტოვის** მუშაობის საიდუმლოება მარტივია: თავისი საქმის ტეხნიკის ნამდვილი დაუფლება და დამკვრელობა გამაგრებული მისწრაფებით, — რაც შეიძლება უკეთესად შეასრულოს გეგმა, მეტი ქვანახშირი გამოიღოსო.

„ასეთი იზოტოვები მარტო დონბასში არ არიან, ისინი უნდა ვეძიოთ მრეწველობის თითეულ დარგში, თითეულ ფაბრიკაში, ქარხანაში, ნავთის სარეწაოებზე. ყველგან არიან საუკეთესო დამკვრელები, თავისი საქმის ოსტატები, მაგრამ იზოტოვისაგან ისინი იმით განსხვავდებიან, რომ ხშირად არ შეუძლიათ თავისი გამოცდილება სხვებს გადასცენ, მათი გამოცდილება არაა გამოყენებული მთლიანად". („პრავდა").

არსენა ბეშკენაძე—ტყიბულის მაღაროების დამკვრელია, სტალინის უბნის მოწინავე ბრიგადირია; მას მაგალითზეც ისე, როგორც ჩვენი ქვეყნის დანარჩენი იზოტოვების მაგალითზე, შეიძლება დარწმუნება, რომ ნიკიტა იზოტოვის მუშაობის საიდუმლოება მართლა მარტივია, უბრალო.

როდესაც ბეშკენაძეს შეხვდებით მაშინვე გაგახსენდებათ ნიკიტა იზოტოვი და უნებლიედ ადარებთ ერთმანეთს ამ ორ დამკვრელს.

დონბასი—იზოტოვი.

ტყიბული—ბეშკენაძე.

გარეგნულად რაიმე დიდი კავშირი მათ შორის თითქო არც იყოს. ასე გგონიათ პირველად, ერთი შეხედვით, როცა ადარებთ ამ ორ ადამიანს; ასე გგონიათ მით უმეტეს იმიტომ, რომ **იზოტოვი არ იცნობს ბეშკენაძეს.** ეს შესაძლებელია და ასე თუ ისე მოსათმენი; მაგრამ ტყიბულის ბოლშევიკებს უნდა ვუსაყვედუროთ, რომ **ბეშკენაძეც არ იცნობს იზოტოვს,** არც კი გაუგონია მის შესახებ. ეს კი მოუთმენელი და დაუშვებელია. ამაში უმთავრესად ჩვენი ქართული პრესაა დამნაშავე, რადგან იზოტოვის შესახებ მან ძალიან ცოტა დასწერა და სთქვა.

მიუხედავათ ამისა, თქვენ მაინც ადარებთ ერთმანეთს იზოტოვს და ბეშკენაძეს, ეძებთ მათში საერთოს ან განსხვავებულს, განსაკუთრებულს.

და აი რას ნახავთ თქვენ.

ერთიც და მეორეც, იზოტოვიც და ბეშკენაძეც დამკვრელებია, საბჭოთა ქვეყნის მოწინავე ადამიანები, ბრიგადირებიც ერთიც და მეორეც ქვანახშირს ანგრევენ, იღებს, გაქვავებულ ცეცხლს სტაცებს მიწის წიაღს;

ერთიც და მეორეც გადაჭარბებით ასრულებს გეგმას, სამაგალითოდ მუშაობს, ქვეყანას აკვირვებს.

იზოტოვი დონბასში, გორლოვკას № 1 მაღაროში ბრიგადას ხელმძღვანელობს და ქვანახშირს ანგრევს. მისი ნორმაა: 6 ტონა ქვანახშირი ცვლაში. **იგი სისტემატიურად 20 ტონას** და მეტს იძლევა ცვლაში. (300—400 პროც.).

ბეშკენაძე ტყიბულში, სტალინის უბანში № 1 ბრიგადას ხელმძღვანელობს და ქვანახშირს ანგრევს, მისი ნორმაა: 3 ტონა ქვანახშირი ცვლაში. **იგი სისტემატიურად 10 ტონას** და მეტს იძლევა ცვლაში. (300—400 პროც.).

ამ მაჩვენებლებით ვადარებთ ერთმანეთს დონბასელ ნიკიტა იზოტოვს, და ტყიბულელ არსენა ბეშკენაძეს. ამიტომაა დიდი კავშირი მათ შორის, ქვანახშირის ამ ორ დამკვრელს შორის, მელესთაგან იზოტოვს მთელი საბჭოთა კავშირი იცნობს, ბეშკენაძეს კი ბევრი ტყიბულშიც კი არ იცნობს. აქედან უკვე იწყება განსხვავება ამ ორ ადამიანს შორის.

პირველი და უმთავრესი, რაც იზოტოვისაგან ასხვავებს ბეშკენაძეს ასე შეიძლება გამოვთქვათ: ამ უკანასკნელს არ აქვს შექმნილი პირობები თავისი გამოცდილება სხვებს გადასცეს, გაუზიაროს ისე, როგორც ამას იზოტოვი ახერხებს; ბეშკენაძის მდიდარი გამოცდილება, რაც გასაღებს წარმოადგენს ქვანახშირის გამოღების გადიდებისათვის; არაა გამოყენებული არც ტყიბულში და არც ჩვენი რესპუბლიკის დანარჩენ სამთომადნო სამუშაოებზე. ეს მომენტი უკვე გულისხმობს დანარჩენს, რითაც ერთმანეთისაგან განსხვავდება ქვანახშირის ეს ორი დამკვრელი. უნდა მოვსპოთ ეს განსხვავება, რაც შეიძლება დაჩქარებით.

***

— ჩემი ბრიგადა, — ამბობს არსენა—30 კაცისაგან შესდგება. ბინა მათ ერთად აქვთ მიცემული. ამას საქმისათვის **დიდი მნიშვნელობა** აქვს, როცა სამუშაოდ გადის ცვლა, ამ პირობებში დაგვიანებას ან გაცდენას არ ექნება ადგილი, რადგან ყველანი ერთად არიან და ერთად მიდიან. აქედან, ოთახიდან იწყება ნახშირისათვის ბრძოლა ჩემს ბრიგადაში. საქმე იმაშია, რომ **მომზადებას** მაღაროში სამუშაოდ, დიდი მნიშვნელობა აქვს. უბრალო ხელის შეშლაც კი, როდესაც ქვანახშირს სჭრი ან გამოგაქვს, იწვევს ზედმეტ გაცდენებს და თუ ერთხელ შეფერხდი, საქმეს მერე ძნელად უშველი.

ბრიგადაში მე 15 ძველი გამოცდილი მუშა მყავს. ესენია: **ტ. ძოწენიძე, ის. ობოლაძე, ლასი ცნობილაძე, ის. ცეცხლაძე, ქს. ბეშკენაძე, დ. არსენიძე** და სხვები. ეს ძველი მუშებია, რომლებიც ჩემზე ცუდად არ მუშაობენ. იცნობენ ისინი ქვანახშირს და მის ბუნებას. ამათ გარდა, ჩვენთან 15 ახალი მუშაა. ახალი მუშები მე განაწილებული მყავს ცვლებში, ძველ მუშებს შორის და ისინი ამ უკანასკნელთა ხელმძღვანელობით მუშაობენ.

პირველად, სამუშაოზე ახლად მოსულებს 2—3 დღის განმავლობაში ვაცნობთ მუშაობის პირობებს, უხსნით წესებს, რომლის დაცვა სავალდებულოა და ამის შემდეგ, როცა ახლად მოსული გაეცნობა ყველაფერს, რაც მისთვის საჭიროა, მას ვაძლევთ სამუშაოს, რასაკვირველია ძველი მუშის ხელმძღვანელობით.

აპრილში 7 ახალი მუშა შემოგვეატა. ისინი სიხარულით მივიღეთ ჩვენ, ვასწავლეთ მუშაობა და ახლა ჩვენი ბრიგადის სასახელო წევრები არიან. არც ერთ მათგანს არ გაუცდენია სამუშაო. არ ჭირია ჩამორჩენა ქვანახშირის მოჭრაში და გამოტანაში.

საიდან ვიწყებთ გვირაბში შესვლისას?

— სამუშაოების მომზადებიდან, სანგრევთან მისასვლელი გზიდან. ჩვენთან ბევრი ბრიგადა არ აქცევს ყურადღებას სამუშაოს მომზადებას. ჩვეულებრივად ხდება ასე: შველენ გვირაბში, სანგრევში და პირდაპირ იწყებენ ქვანახშირის მოჭრას. მოსამზადებელი მუშაობა, გასატანი გზის მომზადება, მისი გაუფთავება, გადაბიჯგვის ნორმის შესრულება — **ყველაფერი** ეს მაშინ გაახსენდებათ, როცა **უკვე** შეუძლებელია ნახშირის მოჭრის გაგრძელება. უბრალოდ რომ ვთქვათ ისინი მუშაობას **ბოლოდან** იწყებენ, ნახშირის ჭრიდან.

მუშაობისას დიდი მნიშვნელობა აქვს გზებს, სინათლეს, გამაგრებას. ჩვენი ბრიგადაც ყველაზე მეტ ყურადღებას აქცევს ამას. ჩვენ ყოველთვის ვეძებთ კარგ გზებს და არ გვმაყოფილებით არისებულით. ამ დღეების მაგალითიც გვეუბნება ამას. აპრილის ბოლო რიცხვებში ჩვენი ბრიგადის მუშაობა შეფერხდა, ნახშირის ამოღება დაიცა.

— რატომ, რა მიზეზით?

— მიზეზი უბრალოა — განაგრძობს არსენა; ჩვენ შეცდომით მივაგვაყენეს მეხუთე ფენაზე, სადაც არ იყო ქვანახშირი. ეცნობათ გამოვარკვიეთ რა ეს, ჩვენ ახალი გზა მოვნახეთ: გადავჭერით მეოთხე ფენაში და მივადექით ქვანახშირით მდიდარ ადგილს, 8 მეტრის სიგრძეზე. ახლა ამ ადგილს ვმუშაობთ ჩვენ და კარგადაც ვმუშაობთ. რადგან გზა უკვე მონახულია, ჩვენ ადვილად ვიღებთ ნახშირს და გადაჭარბებით ვასრულებთ გეგმას.

მაღაროში ჩემი ბრიგადა გამოირჩევა უკეთესი სინათლით და გამაგრებით. სინათლეს და გამაგრებას ჩვენ დიდ ყურადღებას ვაქცევთ; ჩვენმა ბრიგადამ სამ ცვლაში უნდა დააყენოს 6 ბოჯგი. (ცვლამ—2 ბოჯგი) ამ ნორმის შესრულებას ჩვენ სავალდებულოდ ვთვლით და ვასრულებთ კიდეც მაშინ, როცა ზოგიერთი ბრიგადები მას არ ასრულებენ. ჩვენთან ცვლაში 2 ბოჯგი აუცილებლად კეთდება. რაც კიდევ უფრო აჩქარებს ქვანახშირის გამოღებას.

— შრომის დისციპლინა? უნებლიეთ წამომცდა კითხვა.

არსენა შეჩერდა და ამხანაგებს გადახედა, თითქო მათში ეძებდა პასუხის მიმცემს. ათისთავემა **ტარასი ძოწენიძემ** ჩამოართვა მას სიტყვა:

— შრომის დისციპლინა ჩვენ ბრიგადაში სამაგალითოა. აბა გაბედოს რომელიმემ და ბრიგადირის დაუკითხავათ მიატოვოს ან გამოიცდალოს სამუშაო; იგი მაშინვე წყვა ჩვენგან. ზარმაცებს, ვისი გამოსწორების იმედიც გვაქვს, ჩვენ ვეჯარიმებით; ჩვენ, ბრიგადა, უმთავრეს შეთანხმებით მივმართავთ ამ ზომას. ბევრია ტყიბულში მუშები, როგორც კი თითი წამოტკივდებათ, მაშინვე ამის მომიზეზებით საავათმყოფოში გარბიან, ჩვენთან ამას არა აქვს ადგილი.

ვეღარ მოითმინა არსენამ, ისევ აიღო სიტყვა. ახლა იგი გეგმებისა და შეჯიბრების შესახებ ლაპარაკობს.

— თვის 28 ან 29 რიცხვში ჩვენ ყოველთვის ვღებულობთ მომავალი თვის გეგმას. ამ გეგმას ვიხილავთ საერთოდ ბრიგადაში და მერე ცალკე ცვლებში. აქეა. მოცემული დღიური ნორმები, რომელსაც ეცნობა თვითეული მუშა. შენი ნორმა იცი—მორჩა და გათავდა, რადგან იცი უნდა იბრძოლო, შეეჯიბრო შენს მეზობლად მომუშავეს, მეორე ცვლის ამხანაგს, უნდა მოსჭრა მეტი ქვანახშირი. ასე გვაქვს ჩვენ საქმე ბრიგადაში, ასე ვეჯიბრებით ერთმანეთს ბრიგადის შიგნით, ასე ვეჯიბრებით მეზობელ ბრიგადებს და ყოველთვის ვიმარჯვებთ.

— ჰიათურასთანაც გვიმარჯვებთ ხომ? ეჭვიანათ „გააგორა" კითხვა ვიღაცამ.

არსენამ ერთი გადიხედა იმ მხარეზე საიდანაც ხმა მოისმა და მტკიცე გადაწყვეტილებით განაცხადა.

— გავიმარჯვებთ, უსათუოდ გავიმარჯვებთ. სიხარულით მივდივართ ჩვენ შეჯიბრებაში ჰიათურელ და ალავერდელ ამხანაგებთან. ჩვენი ბრიგადა ამ შეჯიბრებაში სირცხვილს არ ჭამს, ჩვენ მოვიგებთ გამარჯვებას.

არსენა ბეშკენაძე
ტყიბულის დამკვრელი მნგრეველი

— სწორია, მოგვიგია და მოვიგებთ — წამოიძახეს დანარჩენებმა.

— როგორ მუშაობ და ცხოვრობ შენ თითონ? ვეკითხები მე ამხ. არსენას.

— როგორც ჩემი ამხანაგები — და არსენამ თუმცა მორცხვად, მაგრამ მაინც დაიწყო ლაპარაკი თავის თავზე.

აქ კი ცოტა ხნით ბეშკენაძეს მე უნდა ჩამოვართვა სიტყვა.

***

როცა ჩვენ გამოვიკვლიეთ მუშაობის შედეგი, გამოირკვა: ცვლამ ეწ „ვაგონეტკის" ნაცვლად (40 ტონა) 6 საათში გამოიღო 108 „ვაგონეტკა" (54 ტონა) ქვანახშირი. ცალკე გამოვყავით ცვლის ბრიგადირის — **არსენა ბეშკენაძის** ნამუშევარი. ამ დღეს 2,5 ტონა იყო ნორმა. არსენა ბეშკენაძემ კი 6 საათის განმავლობაში 10 ტონა ქვანახშირი მოსჭრა. შემდეგ მოდიოდა დანარჩენები: 9, 8, 7, 6 და 5 ტონა, 4 ტონაზე ნაკლები კი არავის არ მოუჭრია.

მაშინ გადავსწყვიტე მე შენახე ბეშკენაძე, რომელთან საუბარს ამ წერილში ავსწერ. როდესაც არსენამ ამიხსნა, თუ როგორ მუშაობს გეირაბში, ჩემთვის ნათელი გახდა მისი გამარჯვების საიდუმლოება.

არსენა სანგრევში ყველაზე სწრაფათ მუშაობს, მაგრამ ენერგიას უაზროდ არ ხარჯავს, არც ერთ ზედმეტ მოძრაობას აკეთებს.

— დინამიტის მოხერხებულად ჩაწყობა, აფეთქების უკეთესი ორგანიზაცია, მეტი ყურადღება სამუშაოს მომზადებას — აი ჩემი სისწრაფის აზრი და გამარჯვების საიდუმლოება. როცა ამ პირობებს

Ереванский завод сельскохозяйственных машин выполнил производственную программу

Ереван, 3 июля. (Наш корр.) Ереванский завод сельскохозяйственных машин выполнил производственную программу. Завод выпустил 1914 веялок, 68 сеялок, 1931 культиватор, 300 конных граблей, 200 конных плугов и ряд других машин. Изготовлено 1931 косилок-жаток, 1931 конных граблей, 1931 конных плугов и ряд других машин. Завод выпустил также